



შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

2024

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია	3
2. წარდგენისა და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	4
3. ფინანსური ინფორმაცია	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი საკითხები	
ფუნქციონირებადი საწარმო	8
დარიცხვის მეთოდი.....	8
ანგარიშგების პერიოდულობა.....	8
ურთიერთგადაფარვა.....	8
საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა.....	9
განუსაზღვრელობის შეფასება	9
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	9
მოთხოვნები.....	10
სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	10
ამონაგები.....	11
მიღებული ავანსები	11
სავაჭრო ვალდებულებები.....	11
იჯარა.....	11
ძირითადი საშუალებები	12
არამატერიალური აქტივები	13
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	13
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები.....	14
ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება.....	14
საწესდებო კაპიტალი.....	14
დივიდენდები	15
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
გადასახადები.....	15

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA (შემდგომში „აკადემია“, „კომპანია“, „დაწესებულება“) არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ზრუნავს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების განათლებაზე და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით მიღების შესაძლებლობას.

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“, ს/კ 406037550, ფუნქციონირებს 2010 წლიდან. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

დამფუძნებელი	31/12/2024	31/12/2023
კახაბერ ერაძე (პ/ნ 60002000117)	50.00%	50.00%
ია ერაძე (პ/ნ 60001051386)	50.00%	50.00%

ძირითადი საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო მომსახურება. აკადემიის საქმიანობა შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირია დაწესებულების დირექტორი ია ერაძე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი

კომპანიის საქმიანობის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22.

2. წარდგენისა და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშები მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საქმიანობის შედეგებს-სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ლარში.

დირექტორი

ია ერაძე -----

4 აგვისტო, 2025წ.

2. წარდგენისა და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშები მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საქმიანობის შედეგებს-სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ლარში.

დირექტორი
ია ერაძე

4 აგვისტო, 2025წ.



3. ფინანსური ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

N1- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1 580 763	975 555	321 286
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	41 931	35 387	36 262
არამატერიალური აქტივები	7	15 111	9 064	9 850
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	39 305	135 500	110 503
ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები		66 355	2 061	1 501
მარაგები	4	7 554	5 250	4740
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	5 598	96 867	301 356
სხვა საგადასახადო აქტივი		39 305	10 476	11 513
სხვა მოკლევადიანი აქტივები		66 355	833	-
სულ აქტივები		1 756 618	1 270 993	797 011
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო(საწესდებო) კაპიტალი	11	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	14	1 654 635	1 180 793	704 585
სულ საკუთარი კაპიტალი		1 654 635	1 180 793	704 585
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	15	10 000	10 000	10 000
სავაჭრო ვალდებულებები	12	18 657	11 609	12 344
გამოუმუშავებელი შემოსავალი	5	4 917	18 059	4 917
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		-	-	8 812
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6 338	674	1 014
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		62 071	55 339	49 858
სულ ვალდებულებები		101 983	90 200	92 426
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 756 618	1 270 993	797 011

დირექტორი

ია ერაძე -----

4 აგვისტო, 2025წ.

3. ფინანსური ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

N1- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1 580 763	975 555	321 286
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	41 931	35 387	36 262
არამატერიალური აქტივები	7	15 111	9 064	9 850
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	39 305	135 500	110 503
ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები		66 355	2 061	1 501
მარაგები	4	7 554	5 250	4740
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	5 598	96 867	301 356
სხვა საგადასახადო აქტივი		39 305	10 476	11 513
სხვა მოკლევადიანი აქტივები		66 355	833	-
სულ აქტივები		1 756 618	1 270 993	797 011
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო(საწესდებო) კაპიტალი	11	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	14	1 654 635	1 180 793	704 585
სულ საკუთარი კაპიტალი		1 654 635	1 180 793	704 585
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	15	10 000	10 000	10 000
სავაჭრო ვალდებულებები	12	18 657	11 609	12 344
გამოუმუშავებელი შემოსავალი	5	4 917	18 059	4 917
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		-	-	8 812
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6 338	674	1 014
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		62 071	55 339	49 858
სულ ვალდებულებები		101 983	90 200	92 426
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 756 618	1 270 993	797 011

დირექტორი

ია ერაძე

4 აგვისტო, 2025წ.



N2 - სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები			
ამონაგები		3 023 500	2 225 540
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		3 023 500	2 225 540
სხვა საოპერაციო შემოსავალი		7 692	30 275
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	10	(1 717 703)	(1 004 584)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(54 022)	(38 881)
აუდიტორის მომსახურების ხარჯი		(4 366)	(7 670)
საკონსულტაციო ხარჯი		(8 886)	(12 873)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(15 359)	(16 231)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(75 833)	(51 354)
იჯარის ხარჯი	15	(120 000)	(120 000)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(89 241)	(64 518)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(318 218)	(225 612)
საოპერაციო მოგება		627 564	714 092
ფინანსური აქტივების გაუფასურების/აღდგენა	3	(45 676)	(249 048)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(428)	(289)
სხვა ფინანსური შემოსავალი		9 535	9 528
საპროცენტო ხარჯი	13	-	(392)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		7 286	2 213
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		598 281	476 105
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		598 281	476 105

დირექტორი

ია ერაძე -----

4 აგვისტო, 2025წ.

N2 - სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები			
ამონაგები		3 023 500	2 225 540
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		3 023 500	2 225 540
სხვა საოპერაციო შემოსავალი		7 692	30 275
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	10	(1 717 703)	(1 004 584)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(54 022)	(38 881)
აუდიტორის მომსახურების ხარჯი		(4 366)	(7 670)
საკონსულტაციო ხარჯი		(8 886)	(12 873)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(15 359)	(16 231)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(75 833)	(51 354)
იჯარის ხარჯი	15	(120 000)	(120 000)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(89 241)	(64 518)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(318 218)	(225 612)
საოპერაციო მოგება		627 564	714 092
ფინანსური აქტივების გაუფასურების/აღდგენა	3	(45 676)	(249 048)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(428)	(289)
სხვა ფინანსური შემოსავალი		9 535	9 528
საპროცენტო ხარჯი	13	-	(392)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		7 286	2 213
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		598 281	476 105
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		598 281	476 105

დირექტორი
ია ერაძე

4 აგვისტო, 2025წ.



N3 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	719 493	704 537
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(710 425)	(669 894)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(105 263)	(9 645)
ფულადი სახსრების შემოსულა (გასვლა)	(96 195)	24 998
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	135 500	110 503
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	39 305	135 500

N4 - კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი	საკუთარი კაპიტალი
საწყისი ნაშთი 01/01/2023	-	704 586	704 586
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში:			
პერიოდის მოგება/ზარალი		476 105	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		103	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-		
საწყისი ნაშთი 01/01/2024		1 180 675	1 180 675
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში:			
პერიოდის მოგება/ზარალი		598 281	
დივიდენდის გაცემა		(123 839)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(600)	
კაპიტალი პერიოდის ბოლოს 31/12/2024	-	1 654 635	1 654 635

დირექტორი

ია ერაძე -----

4 აგვისტო, 2025წ.

N3 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	719 493	704 537
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(710 425)	(669 894)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(105 263)	(9 645)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(96 195)	24 998
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	135 500	110 503
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	39 305	135 500

N4 - კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი	საკუთარი კაპიტალი
საწყისი ნაშთი 01/01/2023	-	704 586	704 586
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში:			
პერიოდის მოგება/ზარალი		476 105	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		103	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-		
საწყისი ნაშთი 01/01/2024		1 180 675	1 180 675
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში:			
პერიოდის მოგება/ზარალი		598 281	
დივიდენდის გაცემა		(123 839)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(600)	
კაპიტალი პერიოდის ბოლოს 31/12/2024		1 654 635	1 654 635

დირექტორი

ია ერაძე

4 აგვისტო, 2025წ.



4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი საკითხები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

აკადემია მომავალშიც გააგრძელებს საქმიანობასა და ფუნქციონირებას და ჩატარებულ ოპერაციებს მნიშვნელოვნად არ შეზღუდავს. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

დარიცხვის მეთოდი

კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვაში იყენებს დარიცხვის მეთოდს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ბალანსის ელემენტების - შემოსავლებისა და ხარჯების, მოგებისა და ზარალის, აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების - აღიარება ხდება მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ისინი გატარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება. ამგვარად, აღნიშნული მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ფულადი საშუალებების გადახდასა და მიღებას, არამედ მომავალში გასანაღდებელ ვალდებულებებსა და მომავალი პერიოდის მოთხოვნებსაც.

ანგარიშგების პერიოდულობა

კომპანია თავისი საქმიანობის შესახებ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს პერიოდულად, დროის გარკვეული ინტერვალით. სააღრიცხვო პოლიტიკით დადგენილია ანგარიშგების ორმაგი ფორმა: შიდა ანგარიშგება და გარე ანგარიშგება. შიდა ანგარიშგება მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მისაღებად აღრიცხვის ოპერატიული მონაცემების საფუძველზე ინფორმაციული ბაზების შექმნას, დამუშავებას და დანიშნულებისამებრ მიწოდებას. შიდა ანგარიშგების პერიოდულობა დგინდება დირექტორის კონკრეტული თემის სპეციფიკის გათვალისწინებით. შიდა ანგარიშგების კონკრეტული ვადა განისაზღვრება შიდა პროცედურებით, საოქმო გადაწყვეტილებებით, ბრძანებით, დადგენილებებით, განკარგულებებით, მემორანდუმებით, შეთანხმებებით, ინსტრუქციებით, დებულებებით, წესებითა და საქმიანი წერილებით. გარე ანგარიშგება წარმოადგენს შესაბამისი შინაარსისა და ხასიათის მქონე ინფორმაციის წარდგენას.

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“ გარე ანგარიშგებას აწარმოებს საქართველოს სხვადასხვა სახელისუფლო სტრუქტურებთან ყოველი საანგარიშგებო წლის დასრულებისას.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა

და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით.

საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა-ქართული ლარი (GEL). ხელმძღვანელობა ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს საქართველოს ეროვნული ვალუტის გამოყენებით, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. თუმცა აკადემიას ასევე აქვს სავალუტო ოპერაციები. პირველად აღრიცხვაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა წარმოებს იმ ვალუტის მიხედვით, რომელშიც თვით ეს აქტივები და ვალდებულებები ფორმირდება ან წარმოდგება, ხოლო შემოსავლები და ხარჯები ნებისმიერ შემთხვევაში აისახება-აღირიცხება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის თარიღისათვის უცხოური ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსის გათვალისწინებით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია წმინდა ლარისა და უცხოური ვალუტის ერთობლივობა, გამოსახული რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსით მიხედვით.

განუსაზღვრელობის შეფასება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობა მიმართავს განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ანგარიშგებაში აისახება მიმდინარე ღირებულებით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის არსებული სავალუტო კურსით (*შენიშვნა 1*).

დასახელება	31-12-24	31-12-23
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,331	1,067
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე ლარში	36,974	134,433

სულ ფულადი სახსრები	39,305	135,500
---------------------	--------	---------

მოთხოვნები

მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრება, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური გარემოება მოთხოვნების გაუფასურების. ობიექტურ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ამით არ შემოიფარგლოს, დებიტორისთვის (სტუდენტისთვის) სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა.

დებიტორული დავალიანებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით, რისთვისაც მათი კორექტირება ხდება საექვო მოთხოვნების თანხით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დებიტორული დავალიანებების ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული სავაჭრო მოთხოვნების 100% წარმოადგენს სტუდენტებისაგან მისაღებ თანხებს (შენიშვნა 2).

დასახელება	31-12-24	31-12-23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	62,519	96,697

ანგარიშგებაში მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი ნაჩვენებია საქმიანობის შედეგებში - „ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი“ (შენიშვნა 3).

დასახელება	31-12-24	31-12-23
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	(45,676)	(249,048)

2024წ. ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი წარმოადგენს 2023წლის საექვო დებიტორული დავალიანებების კორექტირებას გაუფასურების რეზერვის შექმნის ხარჯზე. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებისა და მისი საქმიანობის განხორციელების მიზნით შეიძენს და მოიხმარს საჭირო მასალებს, ნედლეულს და სხვადასხვა სახის მცირეფასიან და სწრაფგვეთად საგნებს, ასევე მკაცრი აღრიცხვის ფორმებს- დიპლომებს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მის მოცემულ ადგილსამყოფელამდე ტრანსპორტირებასთან მოცემული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სათანადო მდგომარეობაში მოყვანასთან.

კომპანია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენას ახდენს მხოლოდ და მხოლოდ მიმდინარე საჭიროებისათვის და არ ქმნის რამოდენიმე წლის მარაგს, რაც ხელს შეუწყობს იმ გარემოებას, რომ შეძენილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაზე არ წარმოიშობა განსხვავებული დანახარჯები ანუ არ მოხდება თვითღირებულების რყევა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულებაში ჩართვა, მატერიალური ფასეულობის ხარჯებში გაწერა წარმოებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით (შენიშვნა 4).

ამონაგები

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა. საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი ამონაგები აღიარებულია შემოსავალში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას. სტუდენტებზე საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება განაწილებულია სასწავლო პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით კვარტალურად. მოკლევადიანი პროგრამების/კურსებისათვის, შემოსავალი აღიარდება კურსის ბოლოს, მომსახურების დასრულებისას. შემოსავლები განისაზღვრება მიღებული კომპენსაციების ან მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები და სავაჭრო ფასდაკლებები.

ფინანსურ ანგარიშგებაში ამონაგებში მითითებული თანხები მიღებულია ავტორიზებულ სადიპლომო და სასერტიფიკატო პროგრამებზე მომსახურების მიწოდებიდან.

მიღებული ავანსები

ავანსად მიღებული თანხები, რომელიც ბალანსის „გამომუშავებელი შემოსავლის“ მუხლში არის წარმოდგენილი, მთლიანად წარმოადგენს პროფესიული სტუდენტებისაგან მიღებულ თანხებს (წინასწარგადახდებს). როგორ კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და შემოსავალი აღიარდება (შენიშვნა 5).

დასახელება	31-12-24	31-12-23
გამომუშავებელი შემოსავალი	4,917	18,059

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის პროცესში მომწოდებლებისაგან ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე წარმოქმნილ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, თუ მათი გადახდა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში, ამიტომ აღიარებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულება.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად.

აკადემიას იჯარით აქვს აღებული შენობა-ნაგებობები, სადაც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციოდ და გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში-ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების, „ძირითადი საშუალებები“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები, თავდაპირველი აღიარებისას აღრიცხულია თვითღირებულებით. ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აღებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გატმობის და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდგომი ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით. კომპანია ძირითად საშუალებებს აჯგუფებს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით (შენიშვნა 6-8):

	იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტი	შენობა-ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და ტექნიკა	ხელოვნების ნიმუშები (წიგნები)	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	538,403	60,312	-	376,839	35,3867	9,064	1,020,006
მიღებული 2024 წლის საანგარიშო პერიოდში	371,785	20,800	20,115	275,460	6,680	15,586	710,425
დარიცხული ცვეთა 2024 წლის საანგარიშო პერიოდში	-	(4,789)	-	(74,779)	(135)	(9,539)	(89,241)
გასული 2024 წლის საანგარიშო პერიოდში	-	-	-	(3,383)	-	-	(3,383)
ნარჩენი ღირებულება	910,194	76,323	20,115	574,131	41,931	15,111	1,637,806
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	910,194	76,323	20,115	574,131	41,931	15,111	1,637,806

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- | | |
|---|-------------|
| ✓ შენობა და ნაგებობებზე | 30-50 წლით, |
| ✓ კომპიუტერებსა და საკომუნიკაციო მოწყობილობაზე | 4-10 წლით, |
| ✓ სატრანსპორტო საშუალებებზე | 7-15 წლით, |
| ✓ ავეჯსა და მოწყობილობაზე | 5-15 წლით, |
| ✓ დანარჩენ ძირითად საშუალებებზე | 5-20 წლით, |
| ✓ კაპიტალურ დანახარჯებზე იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით | 5-7 წლით. |

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლში.

კომპანიამ იჯარით აღებული შენობებზე გაარემონტა კაპიტალურად. აღნიშნული კაპიტალური დანახარჯები გათვალისწინებულია ანგარიშგებაში „ძირითადი საშუალებების“ მუხლში.

არამატერიალური აქტივები

საგანმანათლებლო დაწესებულება არამატერიალური აქტივების აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია აღიარდება წრფივი მეთოდით მომსახურების ვადის გათვალისწინებით. შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაწესებულების მიერ გაწეული ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი შედგება შემდეგი მუხლებისაგან (შენიშვნა 9):

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12/31/2024	12/31/2023
მიმდინარე სარემონტო ხარჯი	97,488	24,424
კომპიუტერული ტექნიკის ხარჯი	8,432	9,474
სტუდენტთა სწავლებისა და ინიციატივების მხარდაჭერის ხარჯი	33,805	33,390
პერსონალის განვითარების ხარჯი	7,019	11,900
საკონსულტაციო ხარჯი	13,252	20,170
ბანკის მომსახურების ხარჯი	1777	3548
სოციალური ანარიცხები	15,784	15,784
წარმომადგენლობითი ხარჯი	23,236	44,574
სამივლინებო ხარჯი	16517	-
თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯი	12768	12,108
ფოსტის მომსახურების ხარჯი	551	528
სხვა საერთო ხარჯი	87,591	49,710
სულ	318,218	225,612

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

აკადემია არ აწარმოებს დაქირავებულ პირებზე ხელფასების, პრემიების და სხვა გაცემების დისკონტირებას. ასევე არ აწარმოებს საპენსიო და სხვა სახის დაგროვებადი და არადაგროვებადი ფონდების შექმნას. აღნიშნული ფონდები იქმნება სახელმწიფო სტრუქტურებში და საგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, დადგენილი ნორმატივების მიხედვით ახდენს თანხების გადარიცხვას შესაბამის ანგარიშებზე.

2024 წლების 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებში კომპანიის სახელფასო ხარჯი ძირითადად მოიცავდა ხელმძღვანელობის, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლებზე გაცემულ ანაზღაურებას (შენიშვნა 10).

დასახელება	31-12-24	31-12-23
ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ანაზღაურება	475,255	99,439
ადმინისტრაციული პერსონალზე გაცემული ანაზღაურება	510,976	436,486
პროფესიული მასწავლებლებზე გაცემული ანაზღაურება	731,472	468,660
სულ	1,717,703	1,004,584

თანამშრომლების მიმართ კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება დავალიანება, რომელიც შეადგენს 62,071.00 ლარს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმწიფო პირობების მონაწილე. დაწესებულება ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელმწიფო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ნასესხები სახსრების ყველა ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწევა (შენიშვნა 13).

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება ორი ნაწილისგან: საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით. (შენიშვნა 11). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს.

კაპიტალის გაუნაწილებელი მოგების მუხლში ასახულია (შენიშვნა 14):

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	31-12-2024
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი	1,180,793
პერიოდის მოგება/ზარალი	598,281
დივიდენდის გაცემა	(123,839)
წინა წლის შეცდომების კორექტირება	600

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის (გაუნაწილებელი მოგების) შემცირება, როდესაც გაიცა დივიდენდი. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც ანგარიშგების შემდეგი მოვლენა და შესაბამისად, აისახება განმარტებითი შენიშვნებში.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში გაიცა 123,839.00 ლარის ოდენობის დივიდენდი.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

აკადემია იღებს საიჯარო მომსახურებას დაკავშირებული მხარეებისგან. კერძოდ, კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფართები, რომლებიც ეკუთვნის საწარმოებს, რომელთა მაკონტროლებელი წილის მფლობელი პარტნიორები არიან შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს დამფუძნებლები (შენიშვნა 15).

დასახელება	კავშირის სახე	31-12-24	31-12-23
საიჯარო მომსახურება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	120,000	120,000

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს ხელმძღვანელი პირები ასევე არიან აკადემიის დამფუძნებლები, რომელთა ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების“ შესახებ განმარტებითი შენიშვნაში.

გადასახადები

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის, მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები, გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასახეგრი ობიექტი).

კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების

მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილია საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საშემოსავლო გადასახადს აკადემია იხდის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%.

დირექტორი

ია ერაძე -----

4 აგვისტო, 2025წ.

თბილისი, საქართველო

მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილია საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საშემოსავლო გადასახადს აკადემია იხდის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%.

დირექტორი

ია ერაძე

4 აგვისტო, 2025წ.

თბილისი, საქართველო

